

## 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისათვის (შიდა მობილობა)

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლის 30 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ - კვირის გარდა, 10<sup>00</sup> საათიდან 16<sup>00</sup> საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მესამე სართული, ოთახი №350).

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით;
4. სტუდენტის სტატუსის ცნობა;
5. დოქტორანტებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ სავარაუდო ხელმძღვანელის რეკომენდაცია.